



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

25.09.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ფარმაციის ბაკალავრი, 0916
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 27/11/2012, 710 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე სამადაშვილი, კავკასიის მედიცინის ცენტრი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია კვიციანიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი , საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან. 2012 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. პროგრამის მიზანია, აღზარდოს კვალიფიცირებული პერსონალი, რომელიც დააკმაყოფილებს დარგში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს და ქვეყანაში არსებულ დეფიციტს შეავსებს კვალიფიცირებული პერსონალით. ამ პერიოდში პროგრამაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებების, შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის შედეგების ჩამონათვალი, პროგრამის კომპეტენციების რუქა, დაიხვეწა შეფასების მეთოდები, პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსი, შეიცვალა კურიკულუმი. პროგრამა განიცდის განახლების პროცესებს, ახორცილებს შიდა მონიტორინგს. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. ბოლო წლებში შეინიშნება სტუდენტთა რაოდენობის ზრდის მცირედი ტენდენცია, რაც ძირითადად აფხაზეთიდან ჩარიცხული სტუდენტების ხარჯზეა და ამ მხრივ საინტერესოა ეს მზარდი სტატისტიკა.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2020 წლის 10 ივლისს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შედგა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (ცოტნე სამადაშვილი - თავმჯდომარე, ნათია კვიციანიძე - წევრი, ლანა ბოკუჩავა - წევრი) ვიზიტი, „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. 8 ივლისს ცენტრის თანამშრომლის მიერ განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი ონლაინ შეხვედრა, სადაც განხილული იყო სტრანდარტებთან შესაბამისობაში შეფასების მიზნით განსახილველი საკითხები. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები, კერძოდ დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, პერსონალის სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკა. წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფარმაციის პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ბოლოს შედგა შემადგამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებების და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით. შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და ჰქონდა თანამშრომლობითი ხასიათი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

უსდ-ს აღნიშნული პროგრამა მეტნაკლებად განვითარებულია და საჭიროებს დამატებით, როგორც მატერიალური, ასევე ადამიუნარი რესურსით უზრუნველყოფას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

სასწავლო პროგრამა საჭიროებს შემდგომ მოდელირებას და დახვეწას, რომ შემდგომში დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.

- რეკომენდაციები

უსდ თვითშეფასების დოკუმენტში მიზანი გაწერილია ნათლად, თუმცა მისი მიღწევა, შესაბამისი ცვლილებების და გადახალისების გარეშე, როგორცაა პერსონალი, თავად პროგრამა, მატერიალურ ტექნიკური ბაზა მირწევადი ვერ იქნება. (იხილეთ შესაბამისი სტანდარტები და მათი შეფასება)

აქვე არსანიშნავია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად მიეხმარებოდა უსდ აღნიშნული პროგრამის მიზნების მიღწევაში.

რეკომენდირებულია მატერიალურ ტექნიკური ბაზის დახვეწა, პროგრამის განახლება და თანამედროვე ბაზრის მოტხოვნების გატვალისწინებით მოდერნიზება, რაც აღწერილ სწავლის შედეგებს რეალისტურს აქცევს.

რეკომენდებულია პრაქტიკული ნაწილის ზოგადად, ასევე პრაქტიკული კურსის სწავლის შედეგების და სტუდენტთა შეფასების უფრო მეტად ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც გაამარტივებს და იოლს გახდის მათ ინტერპრეტირებას პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.

რეკომენდებულია ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი მკაფიოდ (არა ზოგადად) აღწერდეს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას და იყოს უფრო მეტად კონკრეტული და გაზომვადი.

რეკომენდებულია უფრო მეტი კოორდინაცია და თანამშრომლობა პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების წარმომადგენლებთან.

რეკომენდებულია, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები აისახოს/განაწილდეს იერარქიული საფეხურის დაცვით (საბაზისოდან რთულისკენ), მაგ: ფარმაცევტული ინფორმაცია გადავიდეს არჩევითში, ფარმაცევტული დახმარება გადავიდეს ძირითადში საბაკალავრო სწავლების 1 ან 2 სემესტრში, ასევე გადამოწმდეს სასწავლო კურსის სოციალური ფარმაცია, ფარმ. საქმის ორგანიზაცია და ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“- სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა და სილაბუსის

ავტორთან ერთად მოხდეს შეთანხმება სასწავლო კურსის კურიკულუმში ასახვის „მიზნობრივობასთან“ დაკავშირებით.

სასწავლო პროგრამაში მითითებული სამი ძირითადი საგანი: სოციალური ფარმაცია, ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები შინაარსობრივად ერთი საგანია და სასურველია მათი გაერთიანება ფარმაციული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკის სახელწოდების ქვეშ.

წამლის ტექნოლოგიის ასეთი სახით დაყოფა: სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია, წამლის სამრეწველო ტექნოლოგია, გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში თემატურად და შინაარსობრივად ვერ გადის სწავლის შედეგების კომპეტენციაზე (სასწავლო კურსების დონეების რუკა შედეგებთან).

არჩევითი საგნიდან უნდა მოხდეს მაპროფილებელი საგნის - ფარმაცევტული ზრუნვის გადმოტანა ძირითადში და ძირითადი საგნების ნუსხიდან ფარმაცევტული ინფორმაციის და ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობის საგნის გადატანა არჩევითში.

რეკომენდებულია, კურიკულუმში სწორად გაიმიჯნოს და აისახოს სპეციალობის ძირითადი/სავალდებულო/არჩევითი კურსები.

რეკომენდებულია ახალი სასწავლო დისციპლინების დამატება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთვრებულის დასაქმებას და კარიერულ ზრდას, რეკომენდებულია ახალი მაპროფილებელი საგნების შემოტანა, რომელიც დაეხმარება სტუდენტს ცოდნის დაუფლებასა და დასაქმებაში:

რეკომენდებულია ზოგი საგნის შერწყმა და ამოღება.

რეკომენდებულია სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია სწავლის შეფასების სისტემის და მეთოდების დახვეწა და გამრავალფეროვნება.

აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა.

აუცილებელია საგნის სწავლება პედაგოგის კვალიფიკაციიდან გამომდინარე.

სასურველია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

პროგრამის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად უნდა წახალისოს სტუდენტების ინიციატივები, რათა მოხდეს მათი ჩართვა სამეცნიერო პროექტებში და უნივერსიტეტის კულტურულ ღონისძიებებში.

-
საწარმოო პრაქტიკისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიების შექმნა და გაუმჯობესება.

-
ინტერნაციონალიზიის ხელშეწყობა.

აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში.

პროგრამის სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა.

რეკომენდირებულია უსდ მეტი იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე

გაცვლითი პროგრამები პროფესორ მასწავლებლებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს პროგრამის სემდგომი დახეწისა და მდგრადობისათვის, რაც პერსონალის მაღალი კვალიფიკაციით იქნება განპირობებული

პროგრამის განხორციელებისათვის და სწავლის შედეგებზე გასასვლელად უსდ საჭიროებს ლაბორატორიების არსებობას სადაც სტუდენტი მინიმალური პრაქტიკული ჩვევების განვითარებას შეძლებს

პროგრამის განხორციელებისათვის და სწავლის შედეგებზე გასვლისთვის უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული კომპონენტი, რაც მხოლოდ შესაბამის ბაზებთან გაფორმებული ხელსეკრულებებითა და მისი მუდმივი მონიტორინგით არის შესაძლებელი

უსდ საჭიროებს მუდმივად განახლებად ბიბლიოტეკას და სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის მოდერნიზებას.

სტუდენტთა პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

გადაიხედოს სწავლება/სწავლის მეთოდები სილაბუსებში და ნაჩვენები იქნეს როგორ იზომება მათი გამოყენებით სწავლის შედეგები

მეტი ყურადღება დაეთმოს სწავლება/სწავლის იმ მეთოდებს, რომლებიც ანალიტიკური აზროვნების განვითარებას უზრუნველყოფს სტუდენტებში.

რეკომენდებულია სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება სტუდენტის ცოდნის უკეთესად შეფასების მიზნით.

შეფასების კომპონენტები და მეთოდები მოვიდეს სასწავლო კურსების სპეციფიკასთან შესაბამისობაში.

სასწავლო კურსების შეფასებაში დეტალურად გაიწეროს პრაქტიკულ/ ლაბორატორიულ მუშაობებზე სტუდენტის აქტივობის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები.

ფარმაციის ბაკალავრის სტუდენტების მეტი ჩართულობა თვითმმართველობის საკითხებში და საერთაშორისო ღონისძიებებში.

მეტი გარე ხარისხის შეფასების ჩატარება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზეც

სისტემური გამოკითხვის შედეგებზე დაფუძნებული სწავლის პროცესში შეტანის/გაუმჯობესების პროცესის ეტაპობრივი აღწერა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინება: უცხო ენის ცოდნა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და პრაქტიკული ნაწილის გაზრდა.

სასურველია გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები და სწორად მოხდეს თითოეული კურსისთვის წინაპირობის განსაზღვრა, გათვალისწინებული იქნას კურსის და პროგრამის სპეციფიკა.

სასურველია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

-სასურველია მოხდეს წამახალისებელი ღონისძიებების გატარება სტუდენტთა სწავლებისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სტუდენტის მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტში 2011/2012 სასწავლო წლიდან, აკრედიტირებულია 2012 წელს.

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმებს. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის მიზანი განმარტებულია შემდეგნაირად: „სასწავლო პროგრამის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის გამოცდილი მეთოდით, მოამზადოს სააფთიაქო სისტემის (ღია და დახურული ტიპის აფთიაქები, ფარმაცევტული დაწესებულებები) კომპეტენტური პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც შრომის ბაზარზე გამოირჩევიან მაღალი კონკურენტუნარიანობით“ , „სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებში ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, როგორცაა პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, მომსახურება და კრიტიკული აზროვნება“. პროგრამის მიზნები ასახავს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სიტემაში არსებულ მოთხოვნებს და მიმართულია მოსახლეობისათვის უსაფრთხო და ხარისხიანი ფარმაცევტული სერვისის მიწოდებისათვის. თუმცა ვიზიტის განხორციელებისას და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა რომ პროგრამის მიზნები, მისი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების ფარგლებში მეტნაკლებად არის ორიენტირებული კურსდამთავრებულის კვალიფიკაციაზე. ინტერვიუებზე დაყრდნობით რეალობას არ შეესაბამება. საგანმანათლებლო მიზნები თავსებადია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის დამღევა კურსდამთავრებულს ვერ უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების ცოდნითა და უნარჩვევებით. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ითვალისწინებს კომპლექსურ სწავლებას და მიმართულია ისეთი უნარების ჩამოყალიბებაზე როგორცაა, კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი.

ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ასევე თვითშეფასების ანგარიშიდანაც იკვეთება ინტერნაციონალიზაციის საკითხების და პოლიტიკის მხოლოდ გარკვეული საწყისები, რომლებიც აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის მიწოდებული არ არის და საჭიროებს მუშაობას შემდგომი განვითარებისათვის.

მიუხედავად თითშეფასების ანგარიშში სწორად ჩამოყალიბებული და გაწერილი პროგრამის მიზნებისა, ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალი ვიწროა, სტუდენტები ვერ გადიან შესაბამის სწავლის შედეგებზე და კონკურენციას ვერ უწევენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- უსდ სტრატეგიული გეგმა
- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი

რეკომენდაციები:

უსდ თვითშეფასების დოკუმენტში მიზანი გაწერილია ნათლად, თუმცა მისი მიღწევა, შესაბამისი ცვლილებების და გადახალისების გარეშე, როგორცაა პერსონალი, თავად პროგრამა, მატერიალურ ტექნიკური ბაზა მიღწევადი ვერ იქნება. (იხილეთ შესაბამისი სტანდარტები და მათი შეფასება)

აქვე არსანიშნავია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად მიეხმარებოდა უსდ აღნიშნული პროგრამის მიზნების მიღწევაში.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თვითშეფასების დოკუმენტზე და თანდართული დოკუმენტების გაანალიზებისას პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს რასაც სტუდენტი იძენს მისი დამთავრებისას. თუმცა ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტთა ცოდნა და კომპეტენცია მეტნაკლებად აკმაყოფილებს ფარმაცევტული ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. განსაკუთრებით პრობლემურია პროგრამის პრაქტიკული ნაწილი, რომელიც პრაქტიკულად ვერ ხორციელდება, შესაბამისი ბაზრის არარსებობის გამო.
- არსანიშნავია ის ფაქტიც რომ პროგრამის სტრუქტურა არ არის თანამედროვე სტრუქტურაზე აწყობილი, რაც პროგრამის შემდგომ დახვეწას საჭიროებს და შესაბამის სტანდარტშია აღწერილი.
- უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზა არ არის საკმარისი შესაბამისი იმ უნარების და კომპეტენციების შესაძენად რაც პროგრამის სწავლის შედეგებშია გაწერილი. უსდ ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებს მარტივი ლაბორატორიული სამუშაოს ჩასატარებლად უნივერსიტეტის შიგნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ თვითშეფასების ანგარიში ○ უსდ სტრატეგიული გეგმა ○ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა ○ ინტერვიუს შედეგები ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდირებულია მატერიალურ ტექნიკური ბაზის დახვეწა, პროგრამის განახლება და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების გატვალისწინებით მოდერნიზება, რაც აღწერილ სწავლის შედეგებს რეალისტურს აქცევს.</p> <p>რეკომენდებულია ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი მკაფიოდ (არა ზოგადად) აღწერდეს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას და იყოს უფრო მეტად კონკრეტული და გაზომვადი</p> <p>რეკომენდებულია პრაქტიკული ნაწილის ზოგადად, ასევე პრაქტიკული ნაწილის სწავლის შედეგების და სტუდენტთა შეფასების ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც გაამარტივებს და იოლს გახდის მათ ინტერპრეტირებას პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.</p> <p>რეკომენდებულია უფრო მეტი კოორდინაცია და თანამშრომლობა პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების წარმომადგენლებთან .</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინება: უცხო ენის ცოდნა, კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და პრაქტიკული ნაწილის გაზრდა.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების შეაბამისი გამჭვირვალე, სამართალიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროცედურებია. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მობილობით ჩარიცხვა პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს 2-ჯერ, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ინფორმაცია ჩარიცხვის შესახებ ასახულია სასწავლებლის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი და სხვა საინფორმაციო საშუალებები.
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტში “შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შეცვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად.

პროგრამის შედგენაში მონაწილეობდნენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კარიერის განვითარების ცენტრი, დარგის აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელი. სტუდენტთა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში სასწავლო და სამეცნიერო კუთხით, სტუდენტები არ იყვნენ ჩართულები.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, თუმცა სტრუქტურა ნაკლებად თანმიმდევრული და ლოგიკურია, კერძოდ: კურსულუმში სასწავლო კურსები არ არის წარმოდგენილი/განაწილებული იერარქიული (საბაზისოდან რთულისკენ) საფეხურების დაცვით, ფარმაციის სასწავლო კურსებისთვის სწორად არ არის განსაზღვრული ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი წინაპირობები, მაგ: ფარმაციის მენეჯმენტი, ფარმაციის მარკეტინგი და ა.შ, ასევე, არჩევითი საგნიდან უნდა მოხდეს მაპროფილებელი საგნის - ფარმაცევტული ზრუნვის გადმოტანა ძირითადში და ძირითადი საგნების ნუსხიდან ფარმაცევტული ინფორმაციის და ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობის საგნის გადატანა არჩევითში.

სასწავლო პროგრამაში მითითებული სამი ძირითადი საგანი: სოციალური ფარმაცია, ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები შინაარსობრივად ერთი საგანია და სასურველია მათი გაერთიანება ფარმაცევტული. საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკის ქულის ქვეშ. წამლის ტექნოლოგიის ასეთი სახით დაყოფა: სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია, წამლის სამრეწველო ტექნოლოგია, გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში თემატურად და შინაარსობრივად ვერ გადის სწავლის შედეგების კომპეტენციაზე (სასწავლო კურსების დონეების რუკა შედეგებთან).

პროგრამაში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე ფარმაციის გამოწვევები და მოთხოვნები, საგნების ჩამონათვალი მოძველებულია და საჭიროებს გადახალისებას, ახალი მიმართულებების შემოტანას და შესაბამისობას თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნებთან.

ფარმაციის საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს: თავისუფალი (სავალდებულო) -40 კრედიტი და თავისუფალი (არჩევითი)-20 კრედიტებს. ძირითადი სპეციალობა მოიცავს 165 კრედიტს, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსების სახით. 10 კრედიტი განკუთვნილია საწარმოო პრაქტიკისათვის. არჩევით საგნებს ეთმობა 15 კრედიტი.

თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა

დააგროვოს 40 კრედიტი და მოიცავს: საინფორმაციო ტექნოლოგიებს, უცხო ენის, აკადემიური წერის უნარების შეძენას.

პროგრამაზე ჩასარიცხად სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ მოეთხოვებათ მხოლოდ ინგლისურის ჩაბარება, ჩარიცხვის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჯგუფების დიფერენცირებას უცხო ენის ცოდნის დონის მიხედვით.

ასევე პროგრამაში გამოიყენება სწავლის მეთოდები, რომელიც მოიცავს ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ ნაწილს, სტუდენტთა ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ საწარმოო და ფარმაცევტული პრაქტიკა მწირია და ნაკლებ ინფორმაციული.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პირებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროგრამაში სილაბუსების და მასში სწავლების მეთოდები მოძველებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები (სილაბუსები)
- ინტერვიუს მასალები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები აისახოს/განაწილდეს იერარქიული საფეხურის დაცვით (საბაზისოდან რთულისკენ), მაგ: ფარმაცევტული ინფორმაცია გადავიდეს არჩევითში, ფარმაცევტული დახმარება გადავიდეს ძირითადში საბაკალავრო სწავლების 1 ან 2 სემესტრში, ასევე გადამოწმდეს სასწავლო კურსის სოციალური ფარმაცია, ფარმ, საქმის ორგანიზაცია და ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“- სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა და სილაბუსის ავტორთან ერთად მოხდეს შეთანხმება სასწავლო კურსის კურიკულუმში ასახვის „მიზნობრივობასთან“ დაკავშირებით.

არჩევითი საგნიდან უნდა მოხდეს მაპროფილებელი საგნის - ფარმაცევტული ზრუნვის გადმოტანა ძირითადში და ძირითადი საგნების ნუსხიდან ფარმაცევტული ინფორმაციის და ფარმაცევტული და სამედიცინო საქონელმცოდნეობის საგნის გადატანა არჩევითში.

სასწავლო პროგრამაში მითითებული სამი ძირითადი საგანი: სოციალური ფარმაცია, ფარმ. საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები შინაარსობრივად ერთი საგანია და სასურველია მათი გაერთიანება ფარმ. საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკის ქუდის ქვეშ. წამლის ტექნოლოგიის ასეთი სახით დაყოფა:სააფთიაქო წამალთა ტექნოლოგია, წამლის სამრეწველო ტექნოლოგია, გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში თემატურად და შინაარსობრივად ვერ გადის სწავლის შედეგების კომპეტენციაზე (სასწავლო კურსების დონეების რუკა შედეგებთან).

რეკომენდებულია გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე წინაპირობები და სწორად მოხდეს თითოეული კურსისთვის წინაპირობის განსაზღვრა, გათვალისწინებული იქნას კურსის და პროგრამის სპეციფიკა.

რეკომენდებულია, კურიკულუმში სწორად გაიმიჯნოს და აისახოს სპეციალობის ძირითადი/სავალდებულო/არჩევითი კურსები.

რეკომენდებულია ახალი სასწავლო დისციპლინების დამატება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთვრებულის დასაქმებას და კარიერულ ზრდას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მეტწილად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა მოძველებულია და რაოდენობრივად ბევრია. ამასთან, მიზანშეწონილია მოხდეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს, ასევე უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
- პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტების (სასწავლო კურსის სილაბუსების) დამუშავების დროს აშკარად გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სტუდენტის ცოდნისა და გაცნობიერების კომპეტენციაზე გასვლას. მაგ: ძირითად საგნებში მითითებული წამლის და სააფთიაქო ტექნოლოგიები, გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, პროცესები და აპარატები ფარმაცევტულ მრეწველობაში ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნის დონის ამაღლებას წამლის ტექნოლოგიის კუთხით, მაშინ როცა მთლიანად ამოვადნილია მზა წამლის ფორმების ტექნოლოგია, რაც მეტად მნიშვნელოვანი დისციპლინაა ფარმაცევტის პროფესიაში.

შეფასების სისტემა პრაქტიკულ მეცადინეობებზე (0,1,2 ქულა) და სწავლის მეთოდები (ზეპირი გამოკითხვა (სემინარი), წერიტი გამოკითხვა(ქვიზი), დემონსტრირება ძალიან მწირია და მოითხოვს გამრავალფეროვნებას. შეფასების კომპონენტის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა საგნის სპეციფიკას. თუმცა სასწავლო კომპონენტების დეტალურმა დამუშავებამ ცხადჰყო, რომ ამ უკანასკნელის საპირისპიროდ სასწავლო კურსების სილაბუსებში ავტორები ცოდნის შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს იყენებენ და მეთოდიკის შერჩევის დროს საგნის სპეციფიკა არ არის გათვალისწინებული.

ამასთან, სასწავლო ფარმაცევტული და ტექნოლოგიური პრაქტიკა მატერიალურ ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის დაკმაყოფილებას და ცოდნის მიღებას.

სასწავლო პროგრამის და თვითშეფასების დოკუმენტის გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ შინაარსობრივად განსხვავებულ საგნებს ერთი და იგივე აკადემიური პერსონალი ასწავლის. აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა და ამასთან, საგნის სწავლება უნდა განხორციელდეს პედაგოგის კვალიფიკაციის

გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები (სილაბუსები)
- ინტერვიუს მასალები

რეკომენდაციები:

-რეკომენდებულია ახალი მაპროფილებელი საგნების შემოტანა, რომელიც დაეხმარება სტუდენტს ცოდნის დაუფლებასა და დასაქმებაში

- რეკომენდებულია ზოგი საგნის შერწყმა და ამოღება.

- რეკომენდებული სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

- რეკომენდებულია სწავლის შეფასების სისტემის და მეთოდების დახვეწა და გამრავალფეროვნება

-აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა

-აუცილებელია საგნის სწავლება პედაგოგის კვალიფიკაციიდან გამომდინარე

-აუცილებელია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიდწევებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

-რეკომენდებულია ახალი მაპროფილებელი საგნების შემოტანა, რომელიც დაეხმარება სტუდენტს ცოდნის დაუფლებასა და დასაქმებაში

- რეკომენდებულია ზოგი საგნის შერწყმა და ამოღება.

- რეკომენდებული სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

- რეკომენდებულია სწავლის შეფასების სისტემის და მეთოდების დახვეწა და

<p>გამრავალფეროვნება</p> <p>-აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.</p> <p>-აუცილებელია საგნის სწავლება პედაგოგის კვალიფიკაციიდან გამომდინარე.</p> <p>- რეკომენდირებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების განახლება, რათა უფრო მეტად პასუხობდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად მოგვეცა საშუალება, ინფორმირებული დასკვნა გაგვეკეთებინა, რომ სტუდენტები არ არიან ჩართულები სტუდენტთა კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა ან სხვა, კურიკულუმს</p>

მიღმა, აქტივობებში და ამასთან სტუდენტთა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ინფორმირებულები არ არიან უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკას სპეციალობაში, რომლის მიზანია სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. თვითშეფასების დოკუმენტის ანალიზით პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა 5-დან გაიზარდა 10 კრედიტამდე, თუმცა ბაზების და ლაბორატორიების სიმწირის გამო სტუდენტები ვერ ეუფლებიან პრაქტიკულ გამოცდილებას, ამასთან, სტუდენტთა ინტერვიუების შედეგად მივიღეთ ინფორმაცია, რომ რეაქტივების სიმცირის გამო სასწავლო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დამოუკიდელი მუშაობის საშუალება არ ეძლევათ და პრაქტიკული მეცადინეობს ატარებს პედაგოგი, სადაც სტუდენტები მხოლოდ აკვირდებიან პროცესს.

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ ფარმაციის პროგრამას პრაქტიკის ობიექტებთან (დამსაქმებლებთან) გაფორმებული აქვს უფრო მეტად მემორანდუმები და არა ხელშეკრულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სილაბუსები.
- მემორანდუმები ობიექტებთან.
- ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან).

რეკომენდაციები:

-
- პროგრამის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციამ მნიშვნელოვნად უნდა წახალისოს სტუდენტების ინიციატივები, რათა მოხდეს მათი ჩართვა სამეცნიერო პროექტებში და უნივერსიტეტის კულტურულ ღონისძიებებში.
- საწარმოო პრაქტიკისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიების შექმნა და გაუმჯობესება
- ინტერნაციონალიზიის ხელშეწყობა
- აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
